

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი № 4

2022 წლის 30 მარტი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე - ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე -
ომარი შველიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის).
მუნიციპალიტეტის მერიის ქონების სამსახურის უფროსი-ივანე წიქარიშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის №28 განკარგულების დანართში
ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

1. ქ. ლაგოდეხში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი თამბაქოს ქარხნის- 1967 კვ.მ ადმინისტრაციული
შენობა (შენობები: N1 - 518,2 კვ.მ; N2 - 229,10 კვ.მ; N3 - 20,3 კვ.მ) და მასზე დამაგრებული არასასოფლო -
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.01.54.188);
2. ქ. ლაგოდეხში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა - ნაგებობა და მასზე დამაგრებული- 1055 კვ.მ
არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 54.01.54.138. (შენობა: N1 - 509,80 კვ.მ; N2 - 96 კვ.მ);
3. სოფ. ჭიაურში მდებარე, ყოფილი ამბულატორიის შენობა ს/კ 54.06.57.010 და მასზე დამაგრებული -140
კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა N1 - 140 კვ.მ);
4. ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქ. N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 საშ. სკოლის, მე - 3 სართულზე
მდებარე 2 ოთახი - 60,42 კვ.მ) ს/ 54.01.56.222.

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7 წინააღმდეგი-0.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონება-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ არეშფერანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სამოვარი)
დანიშნულების მიწის - 19751 კვ.მ. (ს/კ 54.15.51.003) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის
ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -270 (ორას
სამოცდაათი) ლარი.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- სიღნაღის ყოფილ მიწებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სამოვარი) დანიშნულების მიწის - 65570 კვ.მ. (ს/კ 54.19.57.011) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -890 (რვაას ოთხმოცდაათი) ლარი.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- სიღნაღის ყოფილ მიწებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სამოვარი) დანიშნულების მიწის - 64006 კვ.მ. (ს/კ 54.19.62.002) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -870 (რვაას სამოცდაათი) ლარი.

გადაწყვეტის:

ამოღებულ იქნას ორი საკითხი, ოთხ საკითხს მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.
შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ საპივატიზებო ობიექტების ნუსხას დამატოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში მდებარე (საკ.კოდი: N54.19.60.281) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) - 6309 კვ.მ;
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბანში მდებარე (საკ.კოდი: N54.02.51.725) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი) - 375 კვ.მ;
3. გურჯაანის ყოფილი მიწებში მდებარე (საკ.კოდი: N54.19.57.099) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სახნავი)- 50350 კვ.მ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

გადაწყვეტის:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების ნაწილის, მდებარე ქ. ლაგოდეხში ყოფილი პოლიციის შენობის პირველ სართულზე არსებული (საკადასტრო კოდი -54.01.54.235) ორი ოთახი ჯამში-31,5კვმ. ფართი, შპს „ფარმაცია“-სთვის /საიდენტიფიკაციო ნომერი:433109030/ სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 5 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.

-4-

მოისმინეს:

„საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14 -ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

გადაწყვეტეს:

ამორეზულ იქნას მეორე საკითხი, ორ საკითხს მიეცეს რეკომენდაცია ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-5-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7, წინააღმდეგი-0.

გადაწყვეტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

-6-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ივ.წიქარიშვილი, ო. შველიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მომხრე-7 წინააღმდეგი-0.


მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ბაღდათში მდებარე-93407 კვ.მ (საძოვარი) /საკ.კოდი: N54.13.51.003/ და 16557 კვ.მ. (საძოვარი-54.13.51.002) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სოფლის მოსახლეობისათვის სასყიდლიანი ხარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სოფ. ბაღდათში მდებარე-93407 კვ.მ (საძოვარი) /საკ.კოდი: N54.13.51.003/ მიწის ნაკვეთის წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -1265 (ერთი ათას ორას სამოცდახუთი) ლარი. ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საძოვარი) /საკ.კოდი: N 54.13.51.002/ მიწის -16557 კვ.მ ნაკვეთის წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -225 /ორას ოცდახუთი/ ლარი.

გადაწყვეტეს:

საკითხი, უკეთ შესწავლის მიზნით, გადაიდო შემდგომი განხილვისთვის.

ეკონომიკისა და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე



ომარი შველიძე